

მეორე სექცია

საქმე *კრასნიკი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ*

CASE OF KRASNIKI v. THE CZECH REPUBLIC

(განაცხადი №51277/99)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

28 თებერვალი, 2006

საბოლოო გადაწყვეტილება
28/05/2006

გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების შემთხვევაში. შესაძლოა, ის დაექვემდებაროს რედაქციული ხასიათის გადასინჯვას.

საქმეზე Krasniki v. the Czech Republic

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პალატამ (მეორე სექცია), შემდეგ მოსამართლეთა შემადგენლობით:

ბ-ნი ჟ.პ. კოსტა – თავმჯდომარე,

ბ-ნი ა.ბ. ბაკა,

ბ-ნი კ. ჯუნგვეირტი,

ბ-ნი ვ. ბუტკევიჩი,

ბ-ნი მ. უგრეხელიძე,

ქ-ნი ა. მულარონი,

ბ-ნი ე. ფურა-სანდსტრომი – მოსამართლეები,

და ქ-ნი ს. ოლე – სექციის რეგისტრატორი –

იმსჯელა განმარტოებით 2006 წლის 7 თებერვალს და
ამავე დღეს მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს „მაკედონიის, ყოფილი იუგოსლავიის, რესპუბლიკის“ მოქალაქე ჰასან კრასნიკის (შემდგომში–„განმცხადებელი“) მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (შემდგომში–„კონვენცია“) 34-ე მუხლის თანახმად, 1999 წლის 2 სექტემბერს ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ შეტანილი განაცხადიდან (№59696/00).

2. განმცხადებელს წარმოადგენდა ბ-ნი დ. სტრუპეკი, პრალაში მოღვაწე ადვოკატი. ჩეხეთის მთავრობას (შემდგომში–„მთავრობა“) – ბ-ნი ვ.ა. სჩორმი, იუსტიციის სამინისტროდან.

3. მოსარჩელე აცხადებდა, რომ იგი გასამართლდა მხოლოდ მოწმეთა თანხვედრ ჩვენებებზე დაყრდნობით და მისი დაცვის უფლებები მაქსიმალურად შეიზღუდა, რაც, მისი მტკიცებით, იყო კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-3 პუნქტის (დ) ქვეპუნქტის დარღვევა.

4. განაცხადი დაეწერა სასამართლოს მეორე სექციას (სასამართლოს რეგლამენტის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად). სექციაში პალატის შემადგენლობა, რომელსაც საქმე უნდა განეხილა (კონვენციის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტი), დაკომპლექტდა რეგლამენტის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად.

5. 2004 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით, სასამართლომ განაცხადი დაუშვა არსებით განხილვაზე.

6. 2004 წლის 1-ლ ნოემბერს სასამართლომ შეცვალა სექციების შემადგენლობები (რეგლამენტის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). საქმე გადაეცა ახლად შექმნილ მეორე სექციას (რეგლამენტის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

7. განმცხადებელმა და მთავრობამ არსებითი განხილვისათვის წარმოადგინეს წერილობითი კომენტარები (რეგლამენტის 59-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

შაქტები

1. საქმის გარემოებები

8. განმცხადებელი დაიბადა 1971 წელს და ცხოვრობდა სკოპიეში („მაკედონიის, ყოფილი იუგოსლავიის, რესპუბლიკა“).

9. 1997 წლის 24 აპრილს განმცხადებელს ბრალი წაყენა 1997 წლის იანვარ-აპრილში ნარკოტიკული და სხვა მომწამლავი ნივთიერებების უკანონო წარმოებისა და შენახვის გამო, რაც იკრძალებოდა იმ დროისათვის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის 1-ლი პუნქტით.

10. მთავრობის მტკიცებით, მოწმე ფსევდონიმით – „იანა ჩარვატოვა“ – პირველად დაიკითხა 1997 წლის 24 აპრილს, როდესაც განმცხადებლის კრიმინალურ საქმიანობასთან დაკავშირებით გამოძიების წარმოების პროცესში მას დაუკავშირდა პოლიცია. მოწმემ განაცხადა, *inter alia*, რომ „მას სურდა ჩვენების მიცემა, რადგან იცოდა, თუ რა შედეგო ჰქონდეს და სურდა, ენახა ნარკოდილერებისაგან თავისუფალი თეფლისი“, „იგი საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდა და მზად იყო ჩვენების მისაცემად, იმ პირობით, თუ ანონიმური დარჩებოდა მისი ვინაობა, რადგან პოლიციის მიერ რამდენიმე ნარკოდილერის დაკავების შემდეგ იუგოსლავიელებს დაემუქრნენ, რომ თუ მათგან ვინმე კიდევ „დაასმენდა“ დილერს, მას მოძებნიდნენ და „გაანადგურებდნენ“.

11. განმცხადებლის მტკიცებით, მის სისხლის სამართლის საქმეში ჩაკრული ინტერვიუს ჩანაწერი არ იყო განცხადება, რომელსაც ხელს აწერდა მოწმე, ეს იყო ეგრეთ წოდებული ოფიციალური ჩანაწერი (*úřední záznam*), შედგენილი და შემდგომ ხელმოწერილი თვით პოლიციის ოფიცრის მიერ. განმცხადებელი აცხადებდა, რომ ჩანაწერიდან არ ჩანდა, „იანა ჩარვატოვა“ დაიკითხა თუ არა და ეს ჩანაწერი შედგენილ იქნა მისთვის ბრალდების წაყენებამდე თუ მას შემდეგ. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ამ ტიპის ჩანაწერი არ შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო ბრალდებისათვის სასარგებლო მტკიცებულებად.

12. წინასწარი გამოძიების სტადიაზე განმცხადებელმა უარყო მისი ბრალეულობა. იგი აცხადებდა, რომ თვითონ იყო ჰეროინის მომხმარებელი და მასთან ნაპოვნი ნარკოტიკული საშუალებები მხოლოდ მისთვის იყო განკუთვნილი. 1997 წლის 11 ივლისს „იანა ჩარვატოვა“ და მეორე მოწმე ფსევდონიმით – „იან ნოვოტნი“ – დაიკითხნენ თეფლისის რაიონულ საგამოძიებო ოფისში (*okresní úřad vyšetřování*). ინტერვიუს დაესწრო განმცხადებლის ადვოკატი, თვითონ განმცხადებელი მას არ დასწრებია. მოწმე „იანა ჩარვატოვამ“ განაცხადა:

„ ... რაც შეეხება ჰასან კრასნიკის, მე არ ვიცი მისი სრული სახელი, მას დაუკავშირდი გასული წლის ზამთარში . . . მასთან გამაგ ზავნა ჩემმა შეყვარებულმა, რომელიც ასევე ნარკოტიკების მომხმარებელია.

მსურს, დავაზუსტო ფაქტები ჰასან კრასნიკის პიროვნებასთან დაკავშირებით. როგორც უკვე მოგახსენეთ, არ ვიცი მისი სრული სახელი. ვიცი, უფრო ზუსტად, მახსოვს მხოლოდ მისი სახელი, ჩემმა შეყვარებულმა გამაგ ზავნა ტროვანაში, პიკეში და მთხოვა, მეპოვა ვინმე ჰასანი, რათა მისთვის გამოემართა 0,5 გრამი ჰეროინი. . . .

რაც შეეხება ჰასანს, მე მისგან გასულ წელსაც ვეიდულობდი ნარკოტიკს. მას შემდეგ, ვფიქრობ, აღარ მინახავს. რაც შეეხება მის ფიზიკურ აღწერილობას, შემიძლია ვითხრა, რომ არის დაახლოებით 170 სმ სიმაღლის, გამხდარი,

მოკლე ქერა თმით . . . და მახსოვს, რომ ეცვა ლურჯი ფერის ჯინსის შარვალი და მუქი ქურთუკი.“

13. განმცხადებლის ადვოკატის მიერ დასმულ შეკითხვაზე მან უპასუხა, რომ ჩვენებას აძლევდა როგორც ანონიმური მოწმე, რადგან ნარკოტიკების ვალი ჰქონდა გადასახდელი. გამომძიებლის მიერ დასმულ შეკითხვაზე, ოდესმე დამუქრებია ან უცემია თუ არა იმ ადამიანს, ვისი ფულიც ემართა, მან განაცხადა, რომ იუგოსლავიელმა, ვისთვისაც ფული ჰქონდა მისაცემი, რამდენჯერმე სცემა და კიდევ არსებობდა რამდენიმე სხვა ამგვარი შემთხვევა.

14. მას აჩვენეს სურათების ალბომიდან ათი ფოტოსურათი და სთხოვეს, კარგად შეესწავლა ისინი. მან განაცხადა:

„...მე-5¹ სურათზე აღბეჭდილი ადამიანის სახელი არ ვიცი . . . მე მისგან ვეიდულობდი ნარკოტიკს . . . პიკეში, ტროვანაში, შობის შემდგომ დღეებში. . . ; ის შემდეგ გადასახლდა პიკეში, რკინიგზის სადგურთან ახლოს. ბოლოს იგი ვნახე ზამთარში.“

15. განმცხადებლის ადვოკატის შეკითხვის პასუხად „იანა ჩარვატოვამ“ განაცხადა, რომ „ჰასანი“, რომლისგანაც მან 1996 წელს შობის დღეებში ჰეროინი შეიძინა, ფოტოებზე აღბეჭდილ პირებს შორის არ იყო. გამომძიებლის მიერ დასმულ შეკითხვაზე, იცნობდა თუ არა იგი ვინმე „იურას“ თუ „ჯუროს“ და იყო თუ არა იგი ფოტოებზე გამოსატული, მან უპასუხა :

„სახელი „იურა“ არ გამიგია, მაგრამ, მგონი, შევხვედრივარ „ჯუროს“. ვფიქრობ, მე მაგ პიროვნებისაგან ჰეროინს ვეიდულობდი; დიახ, დარწმუნებული ვარ, მე მისგან ჰეროინს ვეიდულობდი პიკეში, ტროვანაში; ეს ხდებოდა ზამთრის პერიოდში, გასულ წელს თუ ამ წელს, ზუსტად აღარ მახსოვს. . . ვფიქრობ, პირველ სურათზე ეგ უნდა იყოს გამოსახული.“

16. განმცხადებლის თანახმად, „იანა ჩარვატოვას“ დაკითხვა შემდეგი ქრონოლოგიით მიმდინარეობდა: მოწმეს ჰკითხეს ჰასან კრასნიკის შესახებ, ამიტომაც მან დაიწყო საუბარი პირზე, სახელად ჰასანზე. მან აღწერა მისი გარეგნობა, ამის შემდეგ მას აჩვენეს ფოტოების ალბომი და შემთხვევით იქნა ნახსენები, რომ ის იცნობდა ფოტოებზე გამოსახულ ყველა პირს, განმცხადებლის ჩათვლით. ინტერვიუს ოფიციალური ჩანაწერი ამტკიცებს, რომ 1997 წლის 11 ივლისს ჩატარებული დაკითხვისას „იანა ჩარვატოვას“ ჰკითხეს ჰასან კრასნიკის, ისევე როგორც „იურას“ თუ „ჯუროს“, შესახებ და მან პირველ ფოტოსურათზე ამოიცნო „ჯურო“.

17. იმავე დღეს დაკითხულმა მოწმე „იან ნოვოტნიმ“ განაცხადა :

„ძალიან ბევრ იუგოსლავიელს ვიცნობ და შემიძლია, დარწმუნებით ვითხრათ, რომ ვიცნობ ამ პიროვნებას. ვიცნობ მას ფსევდონიმით – „ჯურო“.

ვიცი, რომ ის აქ იყო დაახლოებით ოთხი წლის წინ, შემდეგ გაუჩინარდა და კვლავ გამოჩნდა ამ წლის დასაწყისში. ის ჰეროინს ყიდდა სამი თვის განმავლობაში პიკეში, ტროვანაში, აზარტული თამაშების კლუბში, . . . მცირე დროით ის გადასახლდა პიკეში, რკინიგზის ახლოს. მე მისგან შემდეგლო შემიძინა 10 გ ჰეროინი. . . ბოლოს „ჯურო“ ვნახე სამი თვის წინ, აპრილის ბოლოს თუ მაისის დასაწყისში . . . რაც შეეხება მის გარეგნობას, შემიძლია ვთქვა, რომ ის იყო დაახლოებით 25 წლის, 170 სმ სიმაღლის გამხდარი ახალგაზრდა, მოკლე ქერა ფერის თმით. . . .“

18. ფოტოსურათების ალბომის ჩვენების შემდეგ „იან ნოვოტნიმ“ განაცხადა:

ნამდვილად ვცნობ მეხუთე სურათზე გამოსახულ ადამიანს, ეს არის ჯურო, რომლისგანაც პიკეს აზარტული თამაშების კლუბში, თეფლისში,

მასარიკოვას ქუჩაზე, ჰეროინს ვყიდულობდი, ამ წლის დასაწყისიდან, აპრილსა თუ მაისის დასაწყისში, კი მას ვხვდებოდი რკინიგზის ახლოს.“

19. განმცხადებლის ადვოკატმა მოწმისაგან სცადა, გაეგო, მას რისი ეშინოდა და რატომ სურდა ანონიმურად დარჩენა. მოწმემ განაცხადა, რომ იუგოსლავიელები ტემპერამენტიანი ხალხი იყო, ისინი მას რამდენიმეჯერ დაემუქრნენ, როდესაც სხვისგან მოინდომა ნარკოტიკის შეძენა, შესაბამისად, მას ეშინოდა, თავისი ოჯახის საფრთხეში ჩაყენების. ადვოკატის შემდგომ შეკითხვაზე, მეხუთე ფოტოსურათზე გამოსახული პიროვნება თუ დამუქრებია მას ოდესმე, მოწმემ უარყოფითი პასუხი გასცა. ადვოკატის ბოლო შეკითხვაზე, „იან ნოვოტნიმ“ განაცხადა, რომ მეხუთე ფოტოზე გამოსახული პირისაგან მან ჰეროინი შეიძინა ზუსტად ახალი წლის შემდეგ, ბოლოს კი მასთან იყო აპრილის შუა რიცხვებში.

20. პოლიციაში არსებული საქმის მასალები გადაეგზავნა თეფლისის რაიონულ პროკურატურას (*okresní státní zastupitelství*), რომელმაც 1997 წლის 12 სექტემბერს თეფლისის რაიონულ სასამართლოს (*okresní soud*) განმცხადებლის წინააღმდეგ საბრალდებო ოქმით მიმართა. პროკურორმა განმცხადებელს ბრალი დასდო თეფლისში 1997 წლის იანვრიდან 23 აპრილამდე პერიოდში ჰეროინის გავრცელებაში, სულ მცირე, ოცი „ბაშის“, რომლიდანაც თითოეული 0,5 გ ჰეროინს შეიცავდა, „იან ნოვოტნისთვის“ მიყიდვაში და იმავე ოდენობის ჰეროინის „იანა ჩარვატოვასათვის“ მიყიდვაში. პროკურორმა სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა, რომ ორი ანონიმური მოწმე, ისევე როგორც მოწმეები კ. და ს., სასამართლო პროცესზე მოწმედ დაკითხულიყვნენ, პროცესზე ასევე წაეკითხათ პოლიციაში გაკეთებული ჩანაწერები ფოტოებზე პირების ამოცნობასთან დაკავშირებით.

21. 1997 წლის 18 ნოემბერს რაიონულ სასამართლოში დაიწყო განმცხადებლის სასამართლო პროცესი. განმცხადებელმა ბრალი არ აღიარა.

22. სასამართლო განხილვის ოქმიდან ირკვევა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სხდომის თავმჯდომარემ ანონიმური მოწმე „იან ნოვოტნი“ სასამართლო დარბაზის გარეთ დაკითხა, განმცხადებლისა და მისი დამცველისაგან მოშორებით, რომელთაც უფლება ჰქონდათ, მოწმისათვის კითხვები დაესვათ სასამართლოს თავმჯდომარის დახმარებით. მოწმემ განაცხადა, რომ განმცხადებელი იყო სწორედ ის ადამიანი, ვისგანაც იგი ჰეროინს ყიდულობდა, მან განმცხადებლისაგან ნარკოტიკი შეიძინა ასევე 1997 წლის დასაწყისშიც. ჩვენებაში მოწმემ ასევე აღნიშნა, რომ ის უკვე განიკურნა და ნარკოტიკულ საშუალებებს აღარ მოიხმარდა. განმცხადებლის ადვოკატის მიერ დასმულ რამდენიმე შეკითხვაზე მოწმემ უპასუხა, რომ ბრალდებულისაგან ნარკოტიკი შეიძინა რაღაც პერიოდის წინ. შემდეგ იგი გაუჩინარდა და ჰეროინის გაყიდვა ისევ დაიწყო 1997 წლიდან. მან ასევე დასძინა, რომ განმცხადებლისაგან ნარკოტიკს ყიდულობდა 1997 წელს ერთი თვის განმავლობაში და შემდეგ ის ხედავდა, თუ როგორ ყიდდა იგი ჰეროინს 1997 წელს სამი თვის განმავლობაში. მან განმცხადებელი აღწერა როგორც 175-180 სმ სიმაღლის ადამიანი, გამხდარი, სწორი, მუქი ფერის თმით. მან ისიც აღნიშნა, რომ ახლანდელისაგან განსხვავებით, ადრე ის ძალიან ცუდად იმახსოვრებდა თმის ფერს. ანონიმური მოწმის ჩვენებაზე განმცხადებელმა განაცხადა, რომ მისი მონათხრობი მტკნარი სიცრუე იყო.

23. ამის შემდგომ სასამართლომ ხმამაღლა ამოიკითხა მოწმეების – კ. და ს.-ს წერილობითი ჩვენებები, ექსპერტის დასკვნა და სხვა წერილობითი მტკიცებულებები. პროცესი გადაიდო 1997 წლის 25 ნოემბრამდე, მოწმე „იანა ჩარვატოვას“ დაკითხვის მიზნით.

24. შემდეგი პროცესი გაიმართა 1997 წლის 9 დეკემბერს. ოქმში ჩაიწერა, გამომძიებლებმა ტელეფონით აცნობეს სასამართლოს, რომ სხდომის დროს „იანა ჩარვატოვა“ საკუთარ სახლში ვერ იპოვეს. პროცესი გადაიდო 1998 წლის 14 იანვრამდე. პოლიციას დაევალა, გამოერკვია, მოწმე საკუთარ მისამართზე ცხოვრობდა თუ არა.

25. 1998 წლის 14 იანვრის სხდომის ოქმის მიხედვით, რაიონულმა სასამართლომ 1997 წლის 9 და 17 დეკემბრის პოლიციის ოქმები წაიკითხა, სადაც საუბარია „იანა ჩარვატოვას“ უცნობი ადგილსამყოფელის შესახებ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 211-ე მუხლის მე-2(ა) პუნქტის შესაბამისად, წინასწარი გამოძიების ეტაპზე „იანა ჩარვატოვას“ მიერ პოლიციის განყოფილებაში მიცემული ჩვენება იქნა წაკითხული. მოწმის ჩვენებაზე განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ამ პერიოდისათვის ის ჩეხეთის რესპუბლიკაში საერთოდ არ იმყოფებოდა.

26. ამავე დღეს გამოტანილი განაჩენით სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო ნარკოტიკული და სხვა მომწამლავი ნივთიერებების უკანონო წარმოებასა და ფლობაში, მას მიესაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა, ისევე, როგორც განუსაზღვრელი ვადით ჩეხეთის რესპუბლიკიდან გაძევება. სასამართლომ დაადგინა, რომ 1996 წლის იანვრიდან 1997 წლის 23 აპრილამდე პერიოდში განმცხადებელი პეროინს „პატარა შეკვრებად“ ყიდდა. მან, სულ მცირე, ოცი „შეკვრა“ მიჰყიდა „იან ნოვოტნის“ და ამ პერიოდის განმავლობაში პეროინი ასევე რამდენჯერმე მიჰყიდა „იანა ჩარვატოვასაც“.

27. განმცხადებელმა კვლავ აღნიშნა, რომ ამ პერიოდისათვის იგი ჩეხეთის რესპუბლიკაში არ იმყოფებოდა და მის მფლობელობაში ნაპოვნი ნარკოტიკული საშუალებები მხოლოდ მისთვის იყო განკუთვნილი.

28. რაიონულმა სასამართლომ თავისი ვერდიქტი სრულად დააფუძნა ორი ანონიმური მოწმის ჩვენებებს. მან დაადგინა, რომ მოწმეთა ვინაობის მათი უსაფრთხოების მიზნით გასაიდუმლოება ჩვენების მიცემის წინ გამართლებული იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დანაშაულის სიმძიმისა და მოწმეთა შიშის გათვალისწინებით, სასამართლო დარბაზში საჯაროდ მიეცათ ჩვენება.

29. რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, როგორც ანონიმურმა მოწმე „იან ნოვოტნიმ“ განაცხადა, მინიმუმ ოცი „ბაში“ პეროინი შეიძინა ბრალდებულისაგან, მან იგი ასევე ამოიღო ფოტოსურათზეც, წინასწარი გამოძიების, ასევე არსებითი განხილვის ეტაპზე, როგორც ადამიანი, რომელიც პეროინს ასაღებდა არა მხოლოდ მასზე, არამედ სხვა ადამიანებზეც.

30. რაც შეეხება „იანა ჩარვატოვას“, სასამართლომ მოიხმო პოლიციის ოქმები, სადაც მითითებულ იქნა, რომ მოწმე რეგისტრაციის ადგილას ვერ იპოვეს და მისი ძებნა წარუმატებელი აღმოჩნდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ „ჩარვატოვა“ დაიკითხა წინასწარი გამოძიების ეტაპზე ბრალდებულის ადვოკატის თანდასწრებით, სადაც მან აღნიშნა, რომ პეროინს ყიდულობდა განმცხადებლისაგან, რომელიც ფოტოზე ამოიცნო.

31. სასამართლომ ასევე შეისწავლა ბრალდებულის პასპორტი, საიდანაც ირკვეოდა, რომ განმცხადებელი ჩეხეთის რესპუბლიკაში ბულგარეთიდან გადავიდა 1997 წლის 17 მარტს. ექსპერტის ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განმცხადებელი, *inter alia*, ნარკომანიით იყო დაავადებული, მას უნდა სცოდნოდა საზოგადოების მიმართ მის მიერ ჩადენილი კრიმინალური ქმედებებით მიყენებული საშიშროების შესახებ და უნდა გაეკონტროლებინა საკუთარი თავი. ექსპერტის დასკვნა ქმედების არსთან დაკავშირებით ამტკიცებდა, რომ ამის მიზეზი იყო პეროინი.

32. სასამართლომ ყველა შესაბამისი მტკიცებულების შესწავლის შემდეგ დაადგინა, რომ ანონიმური მოწმეების ჩვენებები სიმართლეს შეესაბამებოდა და

განმცხადებლის ბრალეულობას ამტკიცებდა. მან ასევე აღნიშნა, რომ მოწმე „იან ნოვოტნიმ“ ბრალდებული ამოიციწო როგორც წინასწარი გამოძიების, ასევე არსებითი განხილვის ეტაპებზე. სასამართლოს აზრით, განმცხადებლის მიერ მოხმობილი მტკიცებულება – მისი პასპორტის ასლი და თვითმფრინავის ბილეთი იმის დასამტკიცებლად, რომ მის ბრალდებაში მითითებული პერიოდის უმეტესი დღეების განმავლობაში იგი ჩეხეთის რესპუბლიკაში არ იმყოფებოდა, საკმარისი არ იყო მის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებების გასაბათილებლად. როგორც ჩანს, სასამართლომ არ გაითვალისწინა მოწმეების – კ.-სა და ს.-ს ჩვენებები.

33. 1998 წლის 2 თებერვალს განმცხადებელმა გაასაჩივრა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელშიც აღნიშნავდა, რომ მას არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია, რადგან მის მფლობელობაში ნაპოვნი ჰეროინი მხოლოდ თვითონ უნდა მოეხმარა. ის ასევე ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ რაიონული სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას დაეყრდნო ანონიმური მოწმეების ჩვენებებს, რომლებიც მის საწინააღმდეგოდ იქნა გამოყენებული. მსჯავრდებულის მტკიცებით, ვერც საგამოძიებო ორგანოებმა და ვერც რაიონულმა სასამართლომ ვერ შეძლეს, გაეთვალისწინებინათ ანონიმური მოწმეების ჩვენებებში გამოკვეთილი არსებითი ხასიათის წინააღმდეგობები.

34. 1998 წლის 9 მარტს სააპელაციო სასამართლომ (*krajský soud*) განმცხადებლის სარჩელი არ დააკმაყოფილა და აღნიშნა, რომ სააპელაციო სარჩელი დაუსაბუთებელი იყო. სასამართლომ განაცხადა, რომ ორივე ანონიმური მოწმე დაიკითხა წინასწარი გამოძიების ეტაპზე, „იანა ჩარვატოვას“ განცხადება კი პროცესზე წაკითხულ იქნა იმ მიზეზით, რომ იგი რეგისტრირებულ საცხოვრებელ ადგილას ვერ იპოვეს. რაც შეეხებოდათ მოწმეებს – კ.-სა და ს.-ს, მათ უარი განაცხადეს, სასამართლო პროცესზე ყოფილიყვნენ დაკითხულნი.

35. სასამართლომ დაადგინა, რომ სისხლისსამართლებრივი ქმედების ბუნებიდან გამომდინარე, მოწმეები ნარკომანიით დაავადებულთა და ჰეროინის მომხმარებელთა ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ, რომლებიც „განსაკუთრებულად მოწყვლადი ჯგუფია“. მისი დასკვნით, ორი ანონიმური მოწმის მიმართ, მათი წუხილის გათვალისწინებით, საგამოძიებო ორგანოებმა გამოიყენეს აბსოლუტურად კანონიერი პროცედურები, გათვალისწინებული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის 55-ე მუხლის მე-2 პუნქტით, მათი ფსევდონიმით დაკითხვის ჩათვლით.

36. რაც შეეხება მოწმეთა განცხადებებში არსებულ წინააღმდეგობებს, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოწმე „იანა ჩარვატოვამ“ განმცხადებელი ფოტოსურათზე ამოიციწო, როგორც ადამიანი, რომლისგანაც იგი ჰეროინს ყიდულობდა, მაგრამ არ იცოდა მისი სახელი. მან აღწერა ნარკოტიკების გამსაღებელი, რომელსაც იცნობდა სახელით – „ჰასანი“, რომლის აღწერილობაც განსხვავდებოდა განმცხადებლის გარეგნული აღწერილობისაგან. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოწმე „იან ნოვოტნიის“ ჩვენება წინააღმდეგობრივი არ იყო, მან რამდენჯერმე აღწერა, თუ ვისგან, სად და როდის შეიძინა ჰეროინი. ის განმცხადებელს ხვდებოდა ხოლმე კვამლით დაბურულ, ცუდად განათებულ აზარტული თამაშების შესასვლელ დარბაზში და კონცენტრირებული იყო ნარკოტიკის მიღებაზე და არა იმაზე, რომ გამსაღებლის გარეგნობის დეტალები დაემახსოვრებინა. სასამართლოს აღნიშვნით, ის ფაქტი, რომ მოწმემ სწორად ვერ აღწერა ბრალდებულის თმის ფერი, „საქმისთვის არსებითი ფაქტი არ იყო“. სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტებსა და შეფასებებს.

37. 1998 წლის 6 მაისს განმცხადებელმა საკონსტიტუციო სასამართლოს (*ústavní stížnost*) მიმართა სარჩელით, რომელშიც აღნიშნა, რომ მას დაერღვა

კონვენციის მე-6 მუხლის მე-3(დ) პუნქტით გარანტირებული უფლება. იგი აცხადებდა, რომ არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა ანონიმური მოწმეების ჩვენებათა გამოსაყენებლად და ხელისუფლების ორგანოებმა ბრალდების მხარეს არსებითი უპირატესობა მიანიჭეს, მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევით. განმცხადებელი ჩიოდა, რომ მის მიმართ გამოტანილი ვერდიქტი ეყრდნობოდა მხოლოდ ანონიმურ მოწმეთა ჩვენებებს.

38. 1999 წლის 3 მარტს საკონსტიტუციო სასამართლომ (*Ustavní soud*) განმცხადებლის სარჩელი უსაფუძვლოდ გამო არ დააკმაყოფილა. მან განაცხადა, რომ ანონიმურ მოწმეთა ჩვენებები საქმის მტკიცებულებად მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ჩათვლილიყო თუ დაცული იქნებოდა ქვემდებარეობის პრინციპი, ანუ თუ მოწმეთა უსაფრთხოების დასაცავად სხვა საშუალება არ არსებობდა და მაქსიმუმამდე უნდა შემცირებულიყო დაცვის მხარის უფლებათა შეზღუდვა. სასამართლომ აღიარა, რომ კონფლიქტი არსებობდა, ერთი მხრივ, საკუთარი თავის დაცვის კონსტიტუციურ უფლებასა და, მეორე მხრივ, მოწმეთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის საჭიროებას შორის. სასამართლომ დაადგინა, რომ ამ კონფლიქტის დარეგულირება შესაძლებელი იყო მხოლოდ პროპორციულობის პრინციპზე დაყრდნობით.

39. საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო განმცხადებლის არგუმენტი იმის შესახებ, რომ ანონიმური მოწმის პროცედურა მის სასარგებლოდ არ იქნა გამოყენებული. მან დაადგინა, რომ, რადგანაც ანონიმურ მოწმეთა ჩვენებების გამოყენებით შეიძლებოდა შეზღუდულიყო დაცვის უფლებები, აუცილებელი იყო, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, შეზღუდვის სერიოზულობისა და ფარგლების განხილვა. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციის ოფიციალური ოქმების თანახმად, ორი ანონიმური მოწმის დაკითხვა მოხდა განმცხადებლის ადვოკატის თანდასწრებით, რომელსაც უფლება ჰქონდა, მათთვის შეკითხვები დაესვა. სასამართლომ დაასკვნა, რომ, როგორც წინასწარი გამოძიების, ასევე არსებითი განხილვის ეტაპზე განმცხადებლის ფოტოზე ამოცნობა უეჭველს ხდიდა პროცესის კანონიერებასა და სამართლიანობას. სასამართლომ აღნიშნა, რომ არათანაბარი პირობები, რომელშიც დაცვის მხარეს უწევდა მუშაობა, არაკონსტიტუციურობის საკითხს არ წარმოშობდა, რადგან საქმისთვის მნიშვნელოვანი იყო მოწმეთა ჩვენებების შინაარსი და არა მათი ვინაობა, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ სასამართლოებმა საკმარისად არ დაასაბუთეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე და 209-ე მუხლების გამოყენების აუცილებლობა.

40. 2005 წლის 18 აპრილს იუსტიციის მინისტრმა სარჩელით მიმართა სასამართლოს განმცხადებლის სასარგებლოდ. მისი განცხადებით, დაირღვა კანონი (*stížnost pro porušení zákona*). მინისტრის სარჩელი დაეფუძნა შემდეგ არგუმენტებს:

„ - [სასამართლოებმა] საკმარისად ვერ უზრუნველყვეს სამართლიანი სასამართლოს ჩატარება, რადგან [განმცხადებლის] ადვოკატს არ მიეცა საშუალება, დაკითხვის პროცესში ენახა ორივე ანონიმური მოწმე მათი ვინაობის შესწავლის მიზნით;

- პროკურატურის თანამშრომლებს არ უმსჯელიათ საკითხზე, იყო თუ არა აუცილებელი მოწმეთა ვინაობების გასაიდუმლოება;

- სანამ მიღებული იქნებოდა მოწმეთა ვინაობების გასაიდუმლოების გადაწყვეტილება, დაცვის მხარეს არცერთხელ არ მისცემია საშუალება, გაეპროტესტებინა მოწმეთა სანდოობა, ან მოეთხოვა დასაბუთება მათ მიმართ მოსალოდნელი საშიშროებისა, რასაც დაეფუძნა მათი ვინაობის გასაიდუმლოების გადაწყვეტილება;

- სასამართლოებს არ დაუკონკრეტებიათ, . . . რომ მათთვის ცნობილი იყო ორივე მოწმის ნამდვილი ვინაობა და არ დაუდგენიათ, რომ ბრალდებული მართლაც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ორივე ანონიმური მოწმის სიცოცხლესა და თავისუფლებას;

- [განმცხადებლის] ადვოკატს არ შეეძლო დაედგინა ანონიმური მოწმეების სანდოობა და მათი ჩვენებების ჭეშმარიტება, ეს არც სასამართლოებს გაუკეთებიათ;

- ფოტოებზე ბრალდებულის ამოცნობისას არსებულმა შეუსაბამო პირობებმა მოწმეებს სანდოობა დააკარგვინა, და

- ბრალდებულის წინააღმდეგ გამოტანილი კერძო სრულად დაეფუძნა ანონიმური მოწმეების მიერ გაკეთებულ განცხადებებს. “

41. 2005 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით, უზენაესმა სასამართლომ (*Nejvyšší soud*) საჩივარი არ დააკმაყოფილა, ან სრულად გაიზიარა და დაეყრდნო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. დამატებით მან აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 პუნქტი არ უზრუნველყოფს დამცველის უფლებას, ნახოს ანონიმური მოწმეები და შეიტყოს მათი ვინაობა. მინისტრის მიერ ამ საკითხთან მიმართებით დასმული ორი არგუმენტი, შესაბამისად, ჩაითვალა *contra legem*.

II. შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა

1. სისხლის სამართლის კოდექსი (ძალაში მყოფი საქმის განხილვის პერიოდისათვის)

42. 187-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ნარკოტიკული და სხვა მომწამვლავი ნივთიერებების წარმოება, იმპორტი, ექსპორტი, ტრანსპორტირება ან შენახვა, ან მესამე პირისაგან მიღება, შესაბამისი ნებართვის გარეშე, ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ვადით ან ჯარიმით.

2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (საქმის განხილვის პერიოდისათვის მოქმედი ვარიანტი)

43. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, როდესაც გარემოებები მიანიშნებს, რომ ჩვენების მიცემის შემთხვევაში მოწმე ან მოწმის ახლობელი ადამიანი დგას ფიზიკური ძალადობის ან მის ძირითად უფლებებში ჩარევის აშკარა სერიოზული საფრთხის წინაშე, და როდესაც შეუძლებელია სხვა საშუალებების გამოყენებით მოწმის ეფექტური დაცვის უზრუნველყოფა, შესაბამის ორგანოებს ევალებათ, მიიღონ შესაბამისი ზომები მოწმის გარეგნული იდენტიფიკაციის თავიდან ასაცილებლად. მოწმის სახელი და გვარი ისევე, როგორც სხვა მისი მონაცემები, არც განცხადებას და არც სისხლის სამართლის საქმეს არ უნდა დაერთოს და ცნობილი იყოს მხოლოდ შესაბამისი ორგანოებისათვის. მოწმე უნდა იქნეს ინფორმირებული თავისი უფლების შესახებ, მოხდეს მისი პიროვნების გასაიდუმლოება და განცხადებას ხელი მოაწეროს ფიქტიური სახელით, რითიც მოხდება შემდგომ მისი იდენტიფიკაცია. თუ აღარ იარსებებს მიზეზი, რის გამოც მოხდა მოწმის

სახელისა და მისი მონაცემების გასაიდუმლოება, ეს ინფორმაცია უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს და მოწმის ვინაობა უნდა გამჟღავნდეს.

44. 209-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, პასუხისმგებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს, რომ მოწმე, რომელიც ჯერ არ დაკითხულა, არ დაესწროს ბრალდებულის ან სხვა მოწმეების დაკითხვებს. თუ არსებობს ეჭვი, რომ ბრალდებულის თანდასწრებით მოწმე სრულ სიმართლეს არ იტყვის, ან თუ მოწმე ან მისი ნათესავი სხეულის დაზიანების, ან ფიზიკური განადგურებისა თუ სხვა სერიოზული საფრთხის წინაშე დგანან, პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყოს მოწმეთა უსაფრთხოება ან დაფაროს მოწმეთა ვინაობა, ან უბრძანოს ბრალდებულს, დატოვოს სასამართლო დარბაზი, სანამ არ დასრულდება მოწმის დაკითხვა. თუმცა სასამართლო დარბაზში დაბრუნებისთანავე ბრალდებულს უნდა გადასცენ მოწმის ჩვენების შინაარსი და მისცენ საშუალება, კომენტარი გააკეთოს ამ ჩვენების ირგვლივ, ასევე, მოწმესთან შეხვედრის გარეშე, მას შეძლია, სხდომის თავმჯდომარის დახმარებით კითხვები დაუსვას მოწმეს. მოწმის ვინაობის დაფარვის აუცილებლობის შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია, მიიღოს ყველა ზომა მოწმის ნამდვილი ვინაობის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად.

45. 209-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასამართლო დარბაზში გასაიდუმლოებული მოწმის დაკითხვის შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია, საკუთარი შუამდგომლობების გამოყენებით მიმართოს ნებისმიერ საჭირო საშუალებას მოწმის სანდოობის გადასამოწმებლად.

46. 101-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, *inter alia*, გულისხმობს, რომ დაკითხვამდე მოწმის ვინაობა და მისი ბრალდებულთან ურთიერთობა, თუ ასეთი საერთოდ არსებობს, გამოკვლეულ იქნეს. მოწმეს უნდა ეცნობოს, რომ მას უფლება აქვს, უარი განაცხადოს ჩვენების მიცემაზე და, საჭიროების შემთხვევაში, მიმართოს 55-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პროცედურას. მოწმე გაფრთხილებულ უნდა იქნეს, თქვას სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა. ამავე დროს, მას უნდა ეცნობოს ჩვენების მნიშვნელობის შესახებ და განემარტოს სისხლისსამართლებრივი შედეგები ცრუ ჩვენების მიცემის შემთხვევაში. მეორე პუნქტი, *inter alia*, გულისხმობს, რომ დაკითხვის დასაწყისში მოწმეს უნდა ჰკითხონ მის განსახილველ საქმესთან და რომელიმე მხარესთან კავშირის შესახებ და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა გარემოებების შესახებ, რაც მნიშვნელოვანი იქნება მისი ჩვენების სანდოობაში დასარწმუნებლად.

III. საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებები

1. 1994 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება № Pl. ÚS 4/94

47. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა არაკონსტიტუციურად ცნო იმ დროისათვის ძალაში მყოფი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 209-ე მუხლი. მან დაადგინა, რომ ანონიმური მოწმეების გამოყენების კონსტიტუციურობისა და მისი ქვემდებარეობის პრინციპთან შესაბამისობის დადგენა შემდეგი კრიტერიუმებით უნდა მომხდარიყო: პირველი, მოწმის ვინაობის გასაიდუმლოება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა გზით ვერ მოხერხდება მისი უსაფრთხოების დაცვა; მეორე, დაცვის მხარის

უფლებების შეზღუდვა, რომელიც გამოწვეულ იქნა ანონიმური მოწმეებისაგან ჩვენებების მოსმენით, უნდა შემცირდეს მინიმუმამდე.

2. 2001 წლის გადაწყვეტილება № ÚS 37/01

48. წინამდებარე საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ სისხლის სამართალწარმოება არაპატიოსნად იყო წარმართული, რადგანაც განმცხადებლის ამოცნობა განხორციელდა ფოტოალბომების მეშვეობით და მოწმეებს არ აღუწერიათ განმცხადებელი ამოცნობის პროცედურის წინ. რაც შეეხება ანონიმური მოწმეების გამოყენებას, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის განმხილველმა სასამართლომ არ გადაამოწმა მოწმეთა სანდოობა, როგორც ამას მოითხოვს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის 209-ე მუხლის მე-2 პუნქტი. საქმის განმხილველმა სასამართლომ მხოლოდ განაცხადა, რომ მოწმეებს არ გააჩნდათ „რაიმე განსაკუთრებული ქვენაგრძნობა“ განმცხადებლის მიმართ და, შესაბამისად, არ არსებობდა არანაირი მიზეზი, განეხორციელებინათ შურისძიება განმცხადებლის მიმართ და ტყუილად დაედოთ მისთვის ბრალი. ასეთი განცხადება არ შეიძლება თავისთავად ნიშნავდეს, რომ საქმის განმხილველი სასამართლოს ქმედებები შეესაბამებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის მე-2 პუნქტს. ეროვნულ სასამართლოს უნდა განეხილა და გადაემოწმებინა ურთიერთობა მოწმეებსა და განმცხადებელს შორის, შეემოწმებინა განმცხადებლის პრეტენზიები და ჩვენებათა სანდოობა ისევე, როგორც ყველა აუცილებელი მტკიცებულება, მაგალითად: მოწმეთა ნასამართლეობა, მოწმეების რეპუტაციასთან დაკავშირებით ადგილობრივი პოლიციისა და ადმინისტრაციული ორგანოების წარდგინება, მოწმეთა შესახებ ექსპერტი ფსიქოლოგების მოხსენებები, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის 118-ე მუხლის შესაბამისად. საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა როგორც საქმის განმხილველი, ასევე სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები.

IV. ევროპის საბჭოს დოკუმენტები

1. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №R(97) 13-ის დანართი, რომელიც ეხება მოწმეთა დაშინებას და დაცვის უფლებებს, მოიცავს შემდეგ დებულებებს:

„...11. ანონიმურობა მხოლოდ მაშინ უნდა იქნეს დაცული, როდესაც მართლმსაჯულების კომპეტენტური ორგანო მხარეთა მოსმენის შემდგომ დაადგენს, რომ:

- შესაბამისი პირის სიცოცხლეს ან თავისუფლებას სერიოზული საფრთხე ემუქრება, ან, შენიღბული აგენტის შემთხვევაში, მისი პოტენციური საქმიანობა მომავალში შეიძლება სერიოზული საფრთხის წინაშე დადგეს; და

- წარდგენილი მტკიცებულება მნიშვნელოვანია, ხოლო მტკიცებულების წარმდგენი პირი ნდობას იმსახურებს.

12. იქ, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს, ჩვენებების მიმცემი მოწმეების დაცვასთან მიმართებით უნდა განხორციელდეს დამატებითი ღონისძიებები, მათ შორის: დაცვის მხარის მიერ მოწმის გამომუდავების შეუძლებლობის მიზნით ევროპის გამოყენება, მოწმის სახის შენიღბვა, ან ხმის დამახინჯება.

13. მაშინ, როდესაც ანონიმურობასთან დაკავშირებით ნებადართვა გაცემულია, მსჯავრდება არ უნდა იყოს დაფუძნებული მხოლოდ ან უმეტესწილად ასეთი პირის მიერ მიცემულ ინფორმაციაზე.

14. სადაც ეს შესაძლებელია, უნდა შეიქმნას მოწმეთა დაცვის სპეციალური პროგრამები და ხელმისაწვდომი გახდეს იმ მოწმეებისათვის, რომლებსაც ესაჭიროებათ დაცვა. ამ პროგრამების მთავარი მიზანი უნდა იყოს მოწმეთა სიცოცხლისა და პირადი უსაფრთხოების, ისევე როგორც მათი ნათესავებისა და სხვა პირთა დაცვა.

15. მოწმეთა დაცვის პროგრამები უნდა უზრუნველყოფდეს დაცვის სხვადასხვა მეთოდს, ხსენებული შეიძლება მოიცავდეს: ჩვენების მიმცემი მოწმეების ან მათი ნათესავების, ან ახლობლებისათვის პირადი მონაცემების შეცვლას, საცხოვრებელი ადგილის შეცვლას, ახალი სამუშაო ადგილების შოვნაში დახმარების აღმოჩენას, პირადი მცველების დანიშვნას და სხვა სახის დაცვითი ღონისძიებების განხორციელებას.

16. გამომდინარე იმ მნიშვნელოვანი როლიდან, რომელსაც ასრულებენ მართლმსაჯულებასთან მოთანამშრომლე პირები ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში, მათ ადეკვატური მნიშვნელობა უნდა გაეწიოთ, ამავე დროს, შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, ისარგებლონ მოწმეთა დაცვის პროგრამებით უზრუნველყოფილი ღონისძიებებით. იქ, სადაც ეს აუცილებელია, ასეთი პროგრამები შეიძლება მოიცავდეს კონკრეტულ ღონისძიებებს, როგორიც არის სპეციალური პენიტენციარული რეჟიმები მართლმსაჯულებასთან მოთანამშრომლე პირებისათვის, რომლებიც იხდიან სასჯელს.“

2. რეკომენდაცია № R (2000) 2 ეროვნულ დონეზე ცალკეულ საქმეთა გადასინჯვა-განახლებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განჩინების გამოტანის შემდგომ

50. რეკომენდაცია №R(2000) 2 ეროვნულ დონეზე ცალკეულ საქმეთა გადასინჯვა-განახლებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განჩინების გამოტანის შემდგომ, რომელიც მიიღო ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 2000 წლის 19 თებერვალს, შემდეგნაირად იკითხება:

„...ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის გათვალისწინებით (შემდგომში – „კონვენცია“):

თუკი მხედველობაში მივიღებთ, რომ, ევროპული კონვენციის 46-ე მუხლის თანახმად, ხელშემკვრელი სახელმწიფოები აღიარებენ ვალდებულებას, დაემორჩილონ ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილ საბოლოო გადაწყვეტილებას იმ საქმეზე, რომლის მონაწილე მხარეებიც ისინი არიან და რომ მინისტრთა კომიტეტი ახორციელებს გამოტანილი განჩინების აღსრულებას,

თუ გავითვალისწინებთ, რომ კონკრეტულ გარემოებებში ზემოხსენებული ვალდებულება შეიძლება გულისხმობდეს სასამართლოს მიერ კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად მინიჭებული სამართლიანი დაკმაყოფილების და/ან ზოგადი ღონისძიებების გარდა სხვა კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ დაზარალებული მხარე მაქსიმალურად იქნეს ჩაყენებული იმავე სიტუაციაში, რომელშიც იგი იყო კონვენციის დარღვევამდე (*restitutio in integrum*),

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სწორედ მოპასუხე სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გადაწყვიტონ, რომელი ღონისძიებებია ყველაზე შესაფერისი *restitutio in integrum*-ის მისაღწევად, ეროვნული სამართლებრივი სისტემით შესაძლო საშუალებების გათვალისწინებით,

ამავე დროს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მინისტრთა კომიტეტის პრაქტიკა სასამართლოს განჩინებების შესრულებაზე ზედამხედველობისას წარმოაჩენს, რომ, გამონაკლის შემთხვევებში, საქმის ხელახლა განხილვა ან სამართალწარმოების განახლება ყველაზე ეფექტური და ერთადერთი საშუალება იქნება *restitutio in integrum*-ის მისაღწევად,

I. ყოველივე ხსენებულიდან გამომდინარე, იწვევს ხელშემკვრელ მხარეებს, უზრუნველყონ, ეროვნულ დონეზე შექმნან ადეკვატური საშუალებები, რათა მაქსიმალურად განხორციელდეს *restitutio in integrum*;

II. მოუწოდებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, გადასინჯონ თავიანთი კანონმდებლობა იმგვარად, რომ უზრუნველყონ საქმის ხელახლა განხილვის შესაძლებლობა, მათ შორის სამართალწარმოების განახლება იმ შემთხვევებში, როცა ევროპული სასამართლო დაადგენს კონვენციის დარღვევას, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც:

- (i) დაზარალებული მხარე კვლავ განიცდის სერიოზულ ნეგატიურ შედეგებს ეროვნულ დონეზე გამოტანილი გადაწყვეტილების გამო და ხსენებული ნეგატიური შედეგების გამოსწორება არ შეიძლება მხოლოდ სამართლიანი დაკმაყოფილებით, აღნიშნული შედეგის მიღწევა კი შესაძლებელია მხოლოდ ხელახლა განხილვით ან საქმის მოსმენის განახლებით, და
- (ii) სასამართლოს გადაწყვეტილებას მიჟვავართ იმ გადაწყვეტილებამდე, რომ
 - ა) სადავო ეროვნული გადაწყვეტილება არსებითად ეწინააღმდეგება კონვენციას, ან

- ბ) დადგენილი დარღვევა ემყარება ისეთი სიმძიმის პროცესუალურ შეცდომებს თუ ხარვეზებს, რომ წარმოშობს სერიოზულ ეჭვს გასაჩივრებულ ეროვნულ სამართალწარმოებასთან მიმართებით.“

სამართალი

I. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3(d) პუნქტების სავარაუდო დარღვევა

51. განმცხადებლის მტკიცებით, მისი მსჯავრდება მხოლოდ ანონიმური მოწმეების ჩვენებებს ეფუძნებოდა. იგი ასევე აცხადებდა, რომ სამართალწარმოების დროს არ იქნა უზრუნველყოფილი აუცილებელი გარანტიები სამართლიანი სასამართლოს ჩასატარებლად, რადგან მის ადვოკატს არ მიეცა საშუალება ანონიმური მოწმეების ხილვისა მათ მიერ ჩვენებების მიცემისას, მას ასევე არ მისცეს უფლება, შეეტყუა მათი ჭეშმარიტი ვინაობის შესახებ. განმცხადებელი ჩიოდა, რომ დაერღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3(d) პუნქტებით გარანტირებული უფლებები, რომლებიც გულისხმობდა:

1. ...წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ნებისმიერი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს ...განხილვის უფლება ... სასამართლოს მიერ.
- ...
3. ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

დ) დაკითხოს ან დააკითხვინოს ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში;

A. სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი არგუმენტები

1. მთავრობის პოზიცია

52. მთავრობის მტკიცებით, ანონიმური მოწმეების გამოყენება საკმარისად უნდა ყოფილიყო დასაბუთებული კონკრეტული საქმის გარემოებებით. წინამდებარე საქმეში მოწმეთათვის ანონიმურობის მინიჭების აუცილებლობის საკითხი დაისვა 1997 წლის 24 აპრილს, როცა იმ დროისათვის ჰერონის მიჯაჭვულმა ადამიანმა, რომელიც შემდგომ დაიკითხა „იანა ჩარვატოვას“ სახელით, ცალსახად განაცხადა, რომ მზად იყო ჩვენების მისაცემად იმ პირობით, თუ მისი სახელი ანონიმურად დარჩებოდა. ორივე მოწმე, როგორც „იანა ჩარვატოვა“, ასევე „იან ნოვოტნი“, 1997 წლის 11 ივლისს, ჩვენებების მიცემისას, დაჟინებით მოითხოვდნენ თავიანთი ვინაობების გასაიდუმლოებას, როცა მათ გაამჟღავნეს შიში იმის შესახებ, რომ ნარკოტიკების გამსაღებელთა მხრიდან შესაძლოა, შურისძიების ობიექტები გამხდარიყვნენ, არსებობდა მათი ფიზიკური განადგურების საფრთხეც. რადგან საქმე ეხებოდა ნარკოტიკებით ვაჭრობას და გამსაღებლები ხშირად მიმართავდნენ მუქარას თუ ძალადობის სხვადასხვა ფორმას მათ წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი ადამიანების მიმართ, მოწმეთა შიში ვერ ჩაითვლებოდა უსაფუძვლოდ, თუმცა თვით ბრალდებული აცხადებდა, რომ მათ არასოდეს დამუქრებია. მთავრობამ აღნიშნა, რომ ადამიანისაგან ჩვენების მოპოვების აუცილებლობა, რომელიც სისხლის სამართლის საქმეს მტკიცებულებად უნდა დაერთოს, სასამართლოს მიერ აღიარებულ იქნა საკმარის საფუძვლად მოწმეთა ვინაობის დასაფარავად

(*Doorson v. the Netherlands*, 1996 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება, *Reports of Judgments and Decisions* 1996-II, § 71), თან ამით მოხდებოდა მოწმეთა დაცვა ბრალდებულის მხრიდან სავარაუდო შურისძიებისაგან. მთავრობის აზრით, *Doorson*-ის საქმეში მოწმეების Y15 და Y16 მდგომარეობა ძალიან პგავდა წინამდებარე საქმეში ანონიმური მოწმეების მდგომარეობას. ის ფაქტი, რომ ნარკოტიკებით მოვაჭრენი „იანა ჩარვატოვას“ თავს დაესხნენ არა იმიტომ, რომ მან მოვაჭრეთა წინააღმდეგ ჩვენება მისცა, არამედ იმიტომ, რომ ნარკოტიკების ვალი ჰქონდა დასაბრუნებელი, არ იყო საკმარისი საფუძველი, რათა პოტენციური საფრთხე ნაკლებ სერიოზულად მიჩნეულიყო.

53. დამატებით, მთავრობამ აღნიშნა, რომ ბრალდებულის ადვოკატი მოწმეთა დაკითხვას დაესწრო. მას არ გაუპროტესტებია მათი ვინაობების გასაიდუმლოების საფუძველები, არც რაიმე სახის შუამდგომლობით მიუმართავს პროკურორისათვის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე მუხლზე დაყრდნობით. უფრო მეტიც, საქმის განმხილველმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო დალუქული კონვერტების შინაარსი, რომელშიც მოთავსებული იყო ინფორმაცია მოწმეთა შესახებ და მათ დაასვა საკუთარი ოფიციალური ბეჭედი.

54. მთავრობამ აღიარა, რომ ანონიმური მოწმეების გამოყენებისას დაცვის პოზიციას საკმარისი ყურადღება უნდა დათმობოდა. მთავრობამ სადავოდ გახადა განმცხადებლის მტკიცება იმის შესახებ, რომ არც მას და არც მის ადვოკატს არ მიეცა მოწმეთა ხილვის უფლება, არ იცოდნენ მოწმეთა ჭეშმარიტი ვინაობები, შესაბამისად, არ შეეძლოთ მათი სანდოობის გადამოწმება. მთავრობის მტკიცებით, განმცხადებლის ადვოკატს გარკვეულწილად შეეძლო სამართალწარმოებისას პირდაპირ დაკვირვებოდა მოწმეთა ქცევებს. დაკითხვის დასრულების შემდეგ მას ჰქონდა შესაძლებლობა, მოწმეთა განცხადებებზე კომენტარი გაეკეთებინა და მათთვის კითხვებით მიემართა, რადგან იმყოფებოდა იმავე ოთახში, რომელშიც მოწმეები, მაგრამ მათ ყოფდათ სპეციალური მობილური გამყოფები. უფრო მეტიც, მას ესმოდა მოწმეთა ხმის ტემბრი, თუ როგორ პასუხობდნენ ისინი დასმულ შეკითხვებს. შესაბამისად, მართალია, ადვოკატი ვერ ხედავდა მოწმეებს, მაგრამ მას შეეძლო, შეეფასებინა, თუ რას ამბობდნენ ისინი და რა მანერით საუბრობდნენ. მას ასევე შეეძლო მოწმეთა ემოციების დაფიქსირებაც. ამგვარად, მას შეეძლო, საკუთარი, თუმცა ნაწილობრივ შეზღუდული, დაკვირვების საფუძველზე ემსჯელა მოწმეთა სანდოობის შესახებ. უფრო მეტიც, შეეძლო, შუამდგომლობები დაეყენებინა სამართალწარმოების ეტაპზე.

55. მთავრობის მტკიცებით, პროკურორის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის საბრალდებო დასკვნის გადაცემის შემდეგ მოსამართლემ იმსჯელა, აღნიშნული დასკვნა ემყარებოდა თუ არა სანდო საფუძველებს შემდგომი სამართალწარმოებისათვის, კერძოდ, მან განიხილა, წინასწარი გამოძიება იყო თუ არა კანონიერად ჩატარებული. მან ასევე იმსჯელა მოწმეთათვის ანონიმურობის მინიჭების მიზეზების სერიოზულობასა და არსზე. მოსამართლე გაეცნო იმ დალუქული კონვერტების შინაარსს, რომლებშიც მოთავსებული იყო მოწმეთა შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია, მათი ნამდვილი სახელების, სახლისა და სამსახურის მისამართების ჩათვლით, რათა საკუთარი დასკვნები გაეკეთებინა იმის თაობაზე, თვითონ ბრალდებული, ან მისი ახლობლები შეძლებდნენ თუ არა მათ წინააღმდეგ შურისძიებას. საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მოსამართლე მივიდა იმავე დასკვნამდე, რომელზეც შეჩერდნენ გამომძიებელი და პროკურორი წინასწარი განხილვის ეტაპზე.

56. მთავრობამ დამატებით აღნიშნა, რომ იმ დროს არ არსებობდა მოწმეთა ეფექტურად დაცვის² სხვა მეთოდიკა.

57. მთავრობამ აღნიშნა, რომ ჩეხეთის კანონმდებლობა მოსამართლეს არ ავალდებულებდა, მხარეებისათვის შეეცოებინებინა, რომ იცოდა ანონიმური მოწმეების ნამდვილი ვინაობის შესახებ. წინამდებარე საქმეში პირველი ინსტანციის სასამართლომ „იან ნოვოტნი“ სასამართლო დარბაზს გარეთ დაკითხა, მხარეთა დაუსწრებლად. პროცესზე დასმული კითხვები ასევე შეეხებოდა კონფიდენციალურ ინფორმაციას მის შესახებ, კერძოდ, კითხვები ეხებოდა მის ნამდვილ სახელსა და გვარს, საცხოვრებელ ადგილს, ამჟამინდელ საცხოვრებელსა და სამუშაო ადგილს, ოჯახურ მდგომარეობას, მის წარსულს, ბრალდებულთან მის ურთიერთობას, ასევე, ისევ იღებდა თუ არა იგი ნარკოტიკულ საშუალებებს და გაიარა თუ არა სპეციალური მკურნალობის კურსი, თუ გაიარა, სად? სხდომის თავმჯდომარემ მხარეებს შეატყობინა მოწმეთა ჩვენებების შინაარსი, მათ შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების გარეშე. ბრალდებულსა და მის ადვოკატს მიეცათ საშუალება, კომენტარი გაეკეთებინათ აღნიშნულ ჩვენებებზე და სასამართლოს შუამავლის დახმარებით შეკითხვები დაესვა მოწმისათვის.

58. მთავრობის აღნიშვნით, სასამართლომ ნათელი გახადა ადვოკატისათვის, რომ მან იცოდა მოწმეთა ვინაობა. მოსამართლემ „იან ნოვოტნის“ ჩვენება ჩაიწერა და აშკარა გახადა, რომ ანონიმურ მოწმეს თავისი უფლებები და ვალდებულებები გააცნეს. იგი დაიკითხა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებათა შესაბამისად. ჩანაწერი შეიცავდა ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ მოსამართლემ იცოდა მოწმეთა ნამდვილი ვინაობის შესახებ. უფრო მეტიც, განმცხადებლის ადვოკატს არ გაუპროტესტებია ეს ფაქტი და არც რაიმე ეჭვი გამოუთქვამს. მთავრობის მტკიცებით, განმცხადებელი და მისი ადვოკატი საკმარისად იყვნენ ინფორმირებულნი იმის შესახებ, რომ მოსამართლემ ანონიმური მოწმეების ნამდვილი ვინაობა იცოდა. სასამართლომ თავის გამამტყუნებელ განაჩენში იმსჯელა მოწმეთა ჩვენებების სანდოობის საკითხზეც.

59. რაც შეეხება „იანა ჩარვატოვას“ ჩვენებას, მთავრობამ აღნიშნა, რომ არსებით განხილვაზე წაკითხულ იქნა მის მიერ წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენება. მთავრობამ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ განმცხადებლის ადვოკატმა, თუმცა იცოდა, მოწმე საცხოვრებელ ადგილას ვერ იპოვეს, აღნიშნული პროცედურა არ გააპროტესტა.

60. როგორც მთავრობამ აღნიშნა, სხვა მტკიცებულება, რომ ბრალდებული კონკრეტულ ადგილას და დროს ყიდდა ნარკოტიკს, ტექნიკურად ვერ იქნა მოპოვებული და გამამტყუნებელი განაჩენი მხოლოდ და მხოლოდ ორი ანონიმური მოწმის ჩვენებებზე იქნა დაფუძნებული. მან აღიარა, რომ ევროპის სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, მსჯავრდება მხოლოდ ან უმეტესწილად არ უნდა ეფუძნებოდეს ანონიმური მოწმეების ჩვენებებს. თუმცა წინამდებარე საქმე განსხვავდებოდა სხვა ანონიმური მოწმეების საქმეთაგან, სადაც სასამართლომ დარღვეულად ცნო კონვენციის მე-6 მუხლის მე-3(d) პუნქტი. იმ საქმეებში სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა სამართლიანობის სხვა პრინციპები. უფრო მეტიც, იმ საქმეთაგან განსხვავებით, ანონიმური მოწმე „იან ნოვოტნი“ დაიკითხა როგორც წინასწარი გამოძიების, ასევე არსებითი განხილვის ეტაპზე.

61. მთავრობამ დამატებით აღნიშნა, რომ მტკიცებულებების შეფასება ეროვნული სასამართლოების საქმე იყო, თავის პრეცედენტებში სტრასბურგის

² სისხლის სამართლის საპროცესო აქტი მოწმეთა და სხვა პირების სპეციალური დაცვის შესახებ (კანონი №137/2001), ძალაში შევიდა მხოლოდ 2001 წლის 1 ივლისიდან.

სასამართლომ რამდენჯერმე აღნიშნა, რომ მტკიცებულებების წარმოება უპირველესად შიდასახელმწიფოებრივ სამართალს ეფუძნებოდა და რომ, ძირითადად, მათ მიერ შეგროვებული ფაქტებისა და მხარეთა მიერ მიწოდებული მტკიცებულებების შეფასება ეროვნული სასამართლოების პრეროგატივა იყო (მათ *mutatis mutandis* მოიხმეს საქმე *Edwards v. the United Kingdom*, 1992 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება, სერია A, #247-B).

62. მთავრობის დასკვნით, განმცხადებლის მიმართ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 (d) პუნქტებით გარანტირებული უფლებები.

2. განმცხადებლის არგუმენტაცია

63. განმცხადებლის მტკიცებით, მოწმეთა მოთხოვნა მათი ვინაობის გასაიდუმლოების შესახებ არ ნიშნავდა იმას, რომ პოლიცია ვალდებული აღარ იყო, განეხილა, შეიძლებოდა თუ არა მოწმეთათვის დაცვის სხვა საშუალებით უზრუნველყოფა. მოწმე „იანა ჩარვატოვას“ უარი, საკუთარი სახელით მიეცა ჩვენება, საკმარისი საფუძველი არ იყო მისთვის ანონიმურობის მისანიჭებლად. მართალია, იმ დროისათვის კანონით დაცვის სხვა საშუალება არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ პოლიციას შეეძლო, თეორიულად საფრთხეში მყოფი მოწმეები ელემენტარული ფიზიკური დაცვით უზრუნველყო.

64. განმცხადებელმა გააკრიტიკა მთავრობის პოზიცია მისი ადვოკატის მიერ მოწმეთათვის დასმულ კითხვებზე სავარაუდო საფრთხის ირგვლივ მათი პასუხების შესახებ. მისი აზრით, შესაბამის ორგანოებს მაქსიმალურად უნდა ეცადათ დაედგინათ, არსებობდა თუ არა მოწმეთა მისამართით შურისძიების რეალური საფრთხე და განმცხადებელი შეძლებდა თუ არა ამგვარი საფრთხის შექმნას.

65. განმცხადებელმა გააკრიტიკა მთავრობის მტკიცება იმის შესახებ, რომ ბრალდებული „საკუთარ თავს დაბალი რანგის ნარკოგამსაღებლად ასაღებდა“. რეალურად, იგი დანაშაულს არ აღიარებდა. მან აღნიშნა, რომ იმ დანაშაულის სერიოზულობაზე აქცენტის გაკეთება, რომლის ჩადენაშიც მას ბრალი ედებოდა და სააპელაციო სასამართლოს შენიშვნა ნარკომომხმარებლების მოწყვლადობის შესახებ, საკმარისი საფუძველი არ იყო.

66. განმცხადებელმა რეკომენდაცია №R(97)13-ზე მითითებით, განაცხადა, რომ მინისტრთა კომიტეტმა ჩამოაყალიბა სპეციალური პროცედურები მოწმეთათვის ანონიმურობის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, შემდეგი მოთხოვნის ჩათვლით, რომ, მოწმის მიერ ანონიმურობის მოთხოვნის შემთხვევაში, ეს მოთხოვნა პროკურორმა უნდა მოახსენოს სასამართლო ორგანოებს და იგი გამოყენებულ უნდა იქნეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

67. განმცხადებელს არ გაუპროტესტებია ის ფორმა, რა ფორმითაც მოწმეები დაიკითხნენ. მან აღიარა, რომ წინასწარი გამოძიების ეტაპზე მისი ადვოკატი იმავე ოთახში იმყოფებოდა, რომელშიც მოწმეები, პირადად მოისმინა ჩვენებები და კითხვები დაუსვა მოწმეებს. მას ასევე არ უარუყვია ფაქტი, რომ დალუქული კონვერტები, რომლებშიც მოთავსებული იყო ინფორმაცია „იანა ჩარვატოვასა“ და „იან ნოვოტინის“ შესახებ, თან ერთვოდა მათ სისხლის სამართლის საქმეს. აშკარად ჩანდა, რომ კონვერტები გახსნეს ზედა კუთხიდან, რომელიც შემდეგ შეკრეს თხელი, გამჭვირვალე ლენტით. ლენტის მარცხენა მხარეს დარტყმული იყო სასამართლოს ორი მრგვალი ბეჭედი და ბეჭდების ირგვლივ დასმული იყო ორი ხელმოწერა. თუმცა, საქმის სხვადასხვა დოკუმენტზე გაკეთებული ხელმოწერებისაგან განსხვავებით, ჩანდა, რომ ბეჭდების ირგვლივ გაკეთებული ხელმოწერები მოსამართლეს არ ეკუთვნოდა. კონვერტებზე არ იყო აღბეჭდილი არანაირი თარიღი და მას თან არ ერთვოდა გახსნის შესახებ ჩანაწერი.

68. განმცხადებლის დაკვირვებით, სისხლის სამართლის საქმის 74-ე გვერდზე გაკეთებული იყო ხელნაწერი ინსტრუქციები სასამართლოს კლერკის მისამართით, რომლითაც მოსამართლე კლერკს სთხოვდა, დაეკითხა „იან ნოვოტნი“, რომელიც იმავე ციხეში იჯდა, რომელშიც თვით განმცხადებელი, მოსამართლე სთხოვდა კლერკს, გაეფრთხილებინა ციხის ადმინისტრაცია, რომ, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, ბრალდებულისა და მოწმის ბადრაგირება ცალ-ცალკე მოეხდინათ და ისინი ერთმანეთისაგან მოშორებით ჰყოლოდათ. ამ კონტექსტიდან გამომდინარე, განმცხადებელი ჩივის, რომ არც ის და არც მისი ადვოკატი არ ყოფილან ინფორმირებულნი მოსამართლის მიერ იმის შესახებ, რომ „იან ნოვოტნი“ დაკავებული, ბრალდებული თუ მსაჯავრდებული იყო. მათ არ იცოდნენ, ამ პირობებში მოსამართლემ როგორ შეძლო მოწმის სანდოობის გადამოწმება. იმავე ინსტრუქციით, კლერკს „იანა ჩარვატოვა“ უნდა მოეწვია დაკითხვაზე და მისთვის შეეცყობინებინა, რომ სასამართლო განხილვაზე მისი დასწრება აუცილებელი იყო, მისი ვინაობა კი საიდუმლოდ დარჩებოდა.

69. ამ გარემოებების გათვალისწინებით, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ დაუდასტურებელი იყო მოსამართლის მიერ კონვერტების თავად გახსნის ფაქტი და მასში არსებული ინფორმაციის სრულად განხილვა. განმცხადებლის აზრით, მოსამართლეს არანაირი მოკვლევა არ ჩაუტარებია მოწმეთა წარსულის შესახებ მაშინ, როდესაც იგი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 314-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, მოწმეთათვის ანონიმურობის მინიჭების მიზეზთა სერიოზულობასა და არსს სწავლობდა. საქმეში არ ყოფილა არანაირი ჩანაწერი იმის შესახებ, რომ მოსამართლე დალუქული კონვერტების შინაარსს გაეცნო სწორედ ამ მიზეზთა შესწავლის ეტაპზე. განმცხადებლის მიხედვით, მთავრობა ვერ ისაუბრებდა იმის შესახებ, რომ კონვერტებში არსებული ინფორმაციით ირკვეოდა მოწმეთა და განმცხადებელს შორის ურთიერთობის მეტი დეტალი, თუ მას ხელი მიუწვდებოდა მათ შინაარსზე. უფრო მეტიც, 1997 წლის 18 ნოემბრის განხილვის ოქმში აღნიშნული არ არის, რომ მოსამართლემ განიხილა „იან ნოვოტნის“ პირადი მონაცემები და წარსული. იქ მითითებულიც კი არ ყოფილა, რომ განმცხადებელი და მისი ადვოკატი საკმარისად იყვნენ ინფორმირებულნი იმ ფაქტის შესახებ, რომ მოსამართლემ იცოდა ანონიმური მოწმეების ნამდვილი ვინაობები.

70. მოწმეთა სანდოობის შემოწმების სტანდარტებთან დაკავშირებით, განმცხადებელმა მოიხმო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება IV.ÚS 37/01 და განაცხადა, რომ რაიონულ სასამართლოს არ გამოუყენებია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის მე-2 პუნქტი. დამატებით, მან აღნიშნა, რომ სასამართლო ვალდებული იყო, საკუთარი ინიციატივით გადაემოწმებინა მოწმეთა სანდოობა, ამ საკითხთან დაკავშირებით მისი ადვოკატის პასიურობის მიუხედავად. იგი სადავოდ არ ხდიდა საკითხს, რომ მტკიცებულებათა შემოწმება, უპირველესად, ეროვნული ორგანოების კომპეტენცია იყო. თუმცა იგი აცხადებდა: მოწმეების – „იანა ჩარვატოვასა“ და „იან ნოვოტნის“ – ჩვენებებს შორის არსებული ცდომილებები, ამოცნობისა და იდენტიფიკაციის დროს არსებული სხვაობების ჩათვლით, ნათელს ხდიდა, რომ შესაბამისი ორგანოების მიერ მათი სანდოობის შემოწმება არასაკმარისი აღმოჩნდა.

71. განმცხადებლის აღნიშვნით, განაჩენის მე-4 გვერდზე რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოწმეთა – „იანა ჩარვატოვასა“ და „იან ნოვოტნის“ – ჩვენებებს სრულ სიმართლედ მიიჩნევდა, რადგან ისინი დეტალურად აღწერდნენ ნარკოტიკების შეძენის სურათს, მათი ჩვენებები თანაბრად საჭირო და ურთიერთდაკავშირებული იყო. განმცხადებლის მტკიცებით, მოსამართლეს არასოდეს მიუღია მხედველობაში ის ფაქტი, რომ

„იან ნოვოტნი“ ბრალდებული თუ მსჯავრდებული იყო და ამის შესახებ არც მისი ადვოკატისათვის უცნობებია. მოსამართლეს არ აღუნიშნავს, თუ როგორ შეაფასა „იანა ჩარვატოვას“ სანდოობის საკითხი, მაშინ, როცა იგი არ დასწრებია სასამართლო განხილვას და მოგვიანებით იგი, გაურკვეველი მიზეზების გამო, ვერ იპოვეს თავის საცხოვრებელ ადგილას. ამას გარდა, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ ყოფილა აღნიშნული, რომ მოსამართლეს, მოწმეთა სახელებისა და საცხოვრებელი მისამართების გარდა, სხვა ინფორმაციაც ჰქონდა მათ შესახებ.

72. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ორი ანონიმური მოწმის ჩვენებების გარდა, საგამოძიებო ორგანოებმა და სასამართლოებმა ვერ მოიპოვეს მისი გამამტყუნებელი სხვა მტკიცებულებები.

73. განმცხადებელი ეჭვქვეშ აყენებდა მთავრობის არგუმენტს იმის შესახებ, რომ საქმეებში, სადაც ევროპის სასამართლომ კონვენცია დარღვეულად ცნო იმ საფუძველით, რომ განმცხადებელი მსჯავრდებულ იქნა მხოლოდ ან გადამწყვეტი დოზით ანონიმური მოწმეების ჩვენებებზე დაყრდნობით, ევროპის სასამართლომ, ამავე დროს, სამართლიანობის სხვა პრინციპების დარღვევაც დაადგინა. ფაქტობრივად, მის საქმეში, სახელმწიფო ორგანოებმა ბევრი სხვა შეცდომა დაუშვეს, რაც სამართალწარმოების სამართლიანობას ძირს უთხრიდა. ნებისმიერ შემთხვევაში, სრულად იკრძალებოდა პირის მსჯავრდება მხოლოდ ანონიმურ მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით.

74. დაბოლოს, მთავრობის მიერ საქმეზე – *Doorson v. the Netherlands* – გაკეთებულ კომენტარზე განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მის და *Doorson*-ის საქმეებს შორის არსებითი სხვაობა არსებობდა, განმცხადებლის მიერ შურისძიების რეალური შესაძლებლობის საფუძველების შეფასების კუთხით (*Doorson v. the Netherlands*, იხ. ზევით, §28). „იანა ჩარვატოვას“ მოთხოვნაზე, დაკითხულიყო ანონიმურად, პოლიცია დასთანხმდა, მაგრამ ასეთი მოთხოვნა არ დაფიქსირებულა „იან ნოვოტნისაგან“. ნებისმიერ შემთხვევაში, განმცხადებელი სადავოდ ხდიდა 1997 წლის 11 ივლისამდე მიცემული ჩვენებების გამოყენების საკითხს, რადგან ანონიმურობაზე მსჯელობა ამ დაკითხვამდე არ ყოფილა.

B. სასამართლოს შეფასება

75. სასამართლო იმეორებს, რომ მე-6 მუხლი არ ითვალისწინებს ბრალდებულისათვის მოწმეთა გამოძახების შეუზღუდავ უფლებას. ნორმალურია, როდესაც ეროვნული სასამართლოები იღებენ გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, აუცილებელი და გონივრულია თუ არა მოწმეთა მოსმენა (იხ.: *S.N. v. Sweden*, #34209/96, § 44, ECHR 2002-V, შემდგომი მინიშნებებით საქმეზე – *Bricmont v. Belgium*, 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, სერია A, №158, p. 31, § 89). გარდა ამისა, ზოგადად მტკიცებულება წარმოდგენილი უნდა იყოს საჯარო მოსმენაზე, ბრალდებულის თანდასწრებით, იმ მიზნით, რომ გაიმართოს შეჯიბრებითობის პრინციპზე დამყარებული სასამართლო. არსებობს გამონაკლისები ხსენებული პრინციპიდან, მაგრამ ამ გამონაკლისებმა არ უნდა დაარღვიონ დაცვის უფლებები. როგორც ზოგადი წესი, მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 (d) პუნქტები მოითხოვს, რომ დაცვის მხარეს მიეცეს ადეკვატური და შესაბამისი შანსი, სადავო გახადოს და კითხვები დაუსვას მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემ მოწმეს, მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი აძლევს ჩვენებას მის წინააღმდეგ ან მოგვიანებით (იხ. *Lüdi v. Switzerland*, 1992 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება, სერია A, № 238, გვ. 21, § 49).

76. საქმეებში: *Doorson v. the Netherlands* (გვ. 470, § 69) და *Van Mechelen and Others v. the Netherlands* (1997 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება, *Reports* 1997-III, გვ. 711, §

52) სასამართლომ განაცხადა, რომ ანონიმური მოწმეების მიერ მიცემულ ჩვენებებზე მსჯავრდების დაფუძნება ყველა შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება კონვენციას. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუკი გამოძიების მოწმის ანონიმურობა დაცულია, დაცვის მხარე წააწყდება დიდ სიძნელეებს. შესაბამისად, სასამართლომ აღიარა, რომ ასეთ შემთხვევებში მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი მე-6 მუხლის მე-3 (d) პუნქტთან ერთად მოითხოვს, ის ბარიერები, რომლებსაც აწყდება დაცვა, საკმარისად იქნეს დაბალანსებული იმ პროცედურებით, რომლებსაც ახორციელებს მართლმსაჯულების ორგანოები. ხსენებულის გათვალისწინებით, განმცხადებელს არ უნდა შეეზღუდოს შესაძლებლობა, სადავოდ გახადოს ანონიმური მოწმის სანდოობა (იხ. *Kostowski v. the Netherlands*, 1989 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება, სერია A, №166, გვ. 20, § 42). გარდა ამისა, მსჯავრდება არ შეიძლება მხოლოდ ან უმეტესწილად ემყარებოდეს ანონიმურ ჩვენებებს (იხ. *Van Mechelen and Others*-ის ზემოხსენებული საქმე, გვ. 712, §§ 54-55).

77. *Doorson*-ის საქმეზე გამოტანილი განჩინების 76-ე პუნქტში სასამართლომ აღნიშნა: მტკიცებულების მოპოვება ისეთი მოწმისაგან, რომელიც, თავისი მდგომარეობის გამო, დაცვის უფლებებს ვერ იყენებს იმ დონეზე, რა დონეზეც ეს დაცულია კონვენციით, განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იქნეს განხილული ეროვნული სასამართლოების მიერ.

78. ევროპულმა სასამართლომ ასევე გაითვალისწინა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები იმ საქმეებში, რომლებიც ეხებოდა იმ მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობას, რომელთა წარდგენაც არ მომხდარა საქმის განმხილველი ეროვნული სასამართლოს წინაშე, და დაადგინა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 (d) პუნქტი მხოლოდ ითხოვს ანონიმური მოწმეების ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობას ისეთ სიტუაციებში, სადაც ასეთი მოწმის მიერ მიცემული ჩვენება ასრულებს გადამწყვეტ როლს მსჯავრდების დადებაში (იხ.: *Delta v. France*, 1990 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება, სერია A, №191-A, § 37; *Asch v. Austria*, 1991 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება, სერია A, №203, § 28; *Artner v. Austria*, 1992 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება, სერია A, №242-A, §§ 22-24; *Saïdi v. France*, 1993 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება, სერია A, №261-C, § 44).

79. დაშვებადობის გადაწყვეტილებაში საქმეზე – *Kok v. the Netherlands* (№43149/98, ECHR 2000-VI) – სასამართლომ მიანიშნა, რომ, როდესაც ხდება იმის შეფასება, დაცულ იქნა თუ არა პროცესუალური ნორმები ანონიმური მოწმის დაკითხვისას იმ კუთხით, რომ განეიტრალებულიყო დაცვის მხარისათვის შექმნილი პრობლემები, შესაბამისი ყურადღება უნდა დაეთმოს, თუ რა მოცულობით არის ანონიმური მტკიცებულება გადამწყვეტი განმცხადებლისათვის მსჯავრდების გამოსატანად. თუკი ხსენებული მტკიცებულება არ იყო გადამწყვეტი მსჯავრდებისათვის, მაშინ დაცვის მხარეს გაცილებით ნაკლებად შეეზღუდებოდა დაცვის გარანტიები.

80. იმის განხილვისას, გონივრულად გამართლებული შეიძლება იყოს თუ არა ანონიმური მტკიცებულების გამოყენება წინამდებარე საქმეში, სასამართლომ აღგენს, რომ მოწმე „იანა ჩარვატოვა“ თავისი განცხადებით გამოძიებელი ოფიცრის წინაშე ჩვენებას აძლევდა როგორც ანონიმური მოწმე, რადგანაც ნარკოტიკების ვალი ემართა, „იუგოსლავი“ კი, რომლის ვალიც ემართა, სცემდა მას და ხსენებული მეორედებოდა ხოლმე (იხ. წინამდებარე განჩინების მე-13 პუნქტი). იმავე დღეს დაკითხულმა მოწმე „იან ნოვოტნიმ“ განაცხადა, რომ „იუგოსლავიელები“ იყვნენ ტემპერამენტიანი ხალხი, რომ ისინი ემუქრებოდნენ მას, როდესაც სხვათაგან, და არა მათგან, სურდა ნარკოტიკების ყიდვა, და ამიტომ ეშინოდა თავისი ოჯახის უსაფრთხოების გამო. თუმცა მოწმემ

განაცხადა, რომ მას არასოდეს დამუქრებია №5 სურათზე აღბეჭდილი პირი, რომელშიც მოწმემ ამოიცნო განმცხადებელი (იხ. მე-19 პუნქტი).

81. სასამართლო აღნიშნავს, რომ, როგორც ჩანს, გამომძიებელმა ოფიცერმა მხედველობაში მიიღო ნარკოვაჭართა მიერ გამოყენებული მეთოდები, რომლებიც, მთავრობის მტკიცებით, ხშირად მიმართავენ დაშინებას ან ძალადობას ნარკომანთა და იმ პირთა მიმართ, რომლებიც აძლევენ ჩვენებას ნარკოვაჭართა წინააღმდეგ. შესაბამისად, ასეთი პირები არიან შევიწროების საფრთხის ქვეშ და აღმოჩნდებიან ხოლმე ნარკოვაჭართა ხელში, რა დროსაც მათ ემუქრებათ ზიანის მიყენების საფრთხე. თუმცა არ შეიძლება, დადგინდეს მოწმეთა ჩვენებებიდან, რომლებიც განხორციელდა 1997 წლის 11 ივლისს, ისევე, როგორც სასამართლო სხდომების ოქმებიდან (22-ე-25-ე პუნქტები), თუ როგორ შეაფასეს გამომძიებელმა ოფიცერმა ან მოსამართლემ მოწმეთა შიშის გონივრულობის ფაქტორი vis-à-vis განმცხადებელთან მიმართებით მაშინ, როდესაც ისინი დაკითხა პოლიციამ ან მაშინ, როდესაც „იან ნოვოტნი“ დაკითხა სასამართლომ.

82. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების, რომელმაც მხედველობაში მიიღო ანონიმურ მოწმეთა ჩვენებები განმცხადებლის საწინააღმდეგოდ, ძალაში დატოვებისას არც საოლქო სასამართლოს განუხილავს, თუ რამდენად სერიოზული იყო დასაბუთება იმ მიზეზებისა, რომელთა გამოც მოწმეები ანონიმურები დარჩნენ (იხ. წინამდებარე განჩინების 34-ე-35-ე პუნქტები). ხსენებულთან მიმართებით, თუკი გავიხსენებთ განმცხადებლის სასარგებლოდ იუსტიციის მინისტრის მიერ კანონის დარღვევის გამო შეტანილ საჩივარს (მე-40 პუნქტი), სასამართლო ვერ დარწმუნდა მთავრობის მიერ წარდგენილი არგუმენტის მართებულობაში (იხ. *mutatis mutandis*, *Visser v. the Netherlands*, №26668/95, § 48, 2002 წლის 14 თებერვალი).

84. გარდა ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ რაიონულმა სასამართლომ განმცხადებლის მსჯავრდება სრულად ან, სულ მცირე, გადამწყვეტ ნაწილში დააფუძნა ანონიმურ მტკიცებულებებზე. ამავე დროს, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, არ ემყარებოდა რაიმე ახალ მტკიცებულებას გამჟღავნებადი წყაროდან.

85. ზემოხსენებული დასკვნის შესაბამისად, სასამართლო აუცილებლად არ თვლის, დამატებითად განიხილოს, მართლმსაჯულების ხელისუფლების ორგანოების მხრიდან განხორციელებული პროცედურები საკმარისად აბალანსებდა თუ არა იმ სიძნელეებს, რომლებსაც წააწყდა დაცვა მოწმეთა ანონიმურობის გამო (იხ. *mutatis mutandis*, *Visser v. the Netherlands*, ზემოხსენებული გადაწყვეტილება, § 51, შემდგომი მითითებებით, *Kok v. the Netherlands*).

86. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ სამართალწარმოება მთლიანობაში არ იყო სამართლიანი. ამიტომაც დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 (d) ქვეპუნქტები.

II. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

1. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად :

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

ა. ზიანი

88. მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად განმცხადებელი მოითხოვდა: 68050 ჩეხურ კრონას (2700 ევროს), რომელიც მან გამოიანგარიშა ჩეხეთში არსებული მინიმალური ხელფასის საფუძველზე 25 თვის განმავლობაში, ანუ ეს იყო დრო, რომელიც მან გაატარა პატიმრობაში 1997 წლის 24 აპრილიდან 1999 წლის 28 მაისამდე; მორალური ზიანის ასანაზღაურებლად განმცხადებელი ასევე მოითხოვდა 60000 ევროს, ანუ 2000 ევროს ყოველი თვისათვის, როდესაც იგი პატიმრობაში იმყოფებოდა; 2500 ევროს მისთვის ნარკოტიკებით მოვაჭრის იარაღის „მიკერების“ გამო და 5000 ევროს იმ დათრგუნვისა და განცდისათვის, რომელიც დაკავშირებული იყო სისხლის სამართალწარმოების არაპატიოსნად წარმართვასთან.

2. მთავრობა, პირველ რიგში, უთითებდა სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე, რომლის თანახმადაც, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, განმცხადებელი მაქსიმალურად უნდა იქნეს ჩაყენებული იმ მდგომარეობაში, რომელშიც იგი იქნებოდა, რომ არ დარღვეულიყო მე-6 მუხლის მოთხოვნები. ამავე დროს, მთავრობა უთითებდა №83/2004 კანონზე, რომელიც ძალაში შევიდა 2004 წლის 1 აპრილს, და შეცვალა საკონსტიტუციო სასამართლოს კანონი იმგვარად, რომ განმცხადებლებს, რომლებმაც ევროპული სასამართლოში მოიგეს საქმე, სისხლის სამართლის საქმეებში მიეცათ შესაძლებლობა, განეახლებინათ სამართალწარმოება ეროვნულ დონეზე ჩვეულებრივი საკონსტიტუციო სარჩელის მეშვეობით. მთავრობა ამტკიცებდა, რომ სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო ჩეხეთის კანონმდებლობაში განხორციელებული ეს პროგრესი, რომელიც შეესაბამებოდა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ გამოცემულ №R(2000) 2 რეკომენდაციას.

3. მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე მთავრობა აღნიშნავდა, რომ არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი კონვენციის დარღვევასა და განმცხადებლის მიერ მატერიალური ზიანის გამო მოთხოვნილ თანხას შორის. მორალურ ზიანთან დაკავშირებით, მთავრობის აზრით, დარღვევის დადგენის შემთხვევაში, ხსენებული საკმარისი სამართლიანი დაკმაყოფილება იქნებოდა.

4. წინამდებარე საქმეში სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის 1-ლი და მე-3 ქვეპუნქტების დარღვევა, რადგანაც ჩეხეთის ხელისუფლების ორგანოებმა განმცხადებლის მსჯავრდება დააფუძნეს მხოლოდ ანონიმური წყაროს მიერ მოწოდებულ მტკიცებულებებზე. თუმცა ევროპულ სასამართლოს არ შეუძლია სპეკულირება იმასთან დაკავშირებით, დადგებოდა თუ არა სხვანაირი შედეგი, სამართალწარმოება სხვაგვარად რომ წარმართულიყო და კონვენცია არ დარღვეულიყო (იხ. *Van Mechelen and Others v. the Netherlands* (50-ე მუხლი), 1997 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება, *მოხსენებები* 1997-VII, გვ. 2432, §18).

5. სასამართლო შესაფერისად არ თვლის განმცხადებლის კომპენსირებას განცდილ სავარაუდო ზიანთან დაკავშირებით, რადგანაც არ ყოფილა დადგენილი მიზეზობრივი კავშირი დადგენილ დარღვევასა და იმ ნეგატიურ ეფექტს შორის, რომელიც განიცადა განმცხადებელმა და მისმა პროფესიულმა კარიერამ მსჯავრდების შედეგად. უფრო მეტიც, პატიმრობის გამო მოთხოვნილ თანხასთან დაკავშირებით სასამართლო ადგენს, რომ ვერ დადგინდა კონვენციის დარღვევა თავისუფლების აღკვეთასთან მიმართებით. შესაბამისად, ამ საფუძველზე მინიჭებული ვერ იქნება სამართლიანი დაკმაყოფილება.

6. რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით წარდგენილ პრეტენზიებს, სასამართლო თვლის, რომ მის მიერ დადგენილი დარღვევა საკმარისი სამართლიანი დაკმაყოფილებაა წინამდებარე საქმის

გარემოებებში. თუმცა, სასამართლოს აზრით, რადგანაც განმცხადებელი იქნა მსჯავრდებული, მიუხედავად კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევისა, იგი მაქსიმალურად უნდა ჩაყენებულ იქნეს ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც აღმოჩნდებოდა, რომ არ ყოფილიყო კონვენციის დებულებები დარღვეული და ანაზღაურების ყველაზე უფრო შესაფერისი ფორმა იქნებოდა ხელახლა, *de novo*, წარმოებული სასამართლო განხილვა ან, მოთხოვნის შემთხვევაში, სამართალწარმოების განახლება (იხ. *Öcalan v. Turkey* [GC], № 46221/99, § 210 *in fine*, ECHR 2005-, 2005 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება).

7. ხსენებულთან მიმართებით, სასამართლო უთითებს №83/2004 კანონზე, რომელმაც ცვლილება შეიტანა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონში და შესაძლებლობა მისცა ეროვნულ სისხლის სამართალწარმოებაში მონაწილე ნებისმიერ პირს, მოეგო საქმე საერთაშორისო სასამართლო ორგანოში, რომელმაც, თავის მხრივ, დაადგინა, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი ამ პირის უფლებები დაირღვა ხელისუფლების ორგანოს მიერ, უფლება აქვს, წარადგინოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე მოთხოვნა სამართალწარმოების განახლებასთან დაკავშირებით.

ბ. ხარჯები და გაწეული დანახარჯები

95. განმცხადებელი მოითხოვდა იმ ხარჯებისა და გაწეული დანახარჯების ანაზღაურებას, რომელთა გაღებაც მას მოუხდა ევროპული სასამართლოს წინაშე მიმდინარე სამართალწარმოებასთან დაკავშირებით. განმცხადებელი მოითხოვდა მისი ადვოკატის მიერ გაწეული 25.5-საათიანი სამუშაოსათვის 3825 ევროს და ასევე იმ თანხას, რომლითაც შესაძლოა, დაბეგრილიყო ზემოხსენებული თანხა.

96. მთავრობის აზრით, განმცხადებლის პრეტენზიები უსაფუძვლო იყო და მან ვერ დაადასტურა, რომ მოთხოვნილი თანხა რეალურად იქნა გაღებული.

97. სასამართლო თვლის, რომ დადგენილი პრეცედენტული სამართლის თანახმად, რათა ხარჯებსა და დანახარჯებთან დაკავშირებული თანხა რეალურად იქნეს მინიჭებული, დაზარალებულ მხარეს რეალურად უნდა გაეღო ისინი იმ მიზნით, რომ შეწყვეტილიყო ან აღკვეთილიყო კონვენციის დარღვევა და ეს ყველაფერი დადასტურებული უნდა იყოს ევროპული სასამართლოს მიერ. ასევე დადგენილი უნდა იყოს, რომ ხარჯები აუცილებლობიდან გამომდინარე იყო გაღებული და ისინი გონივრულია მოცულობით (სხვა მაგალითებს შორის იხ. *Krčmář and Others v. the Czech Republic*, № 35376/97, § 52, 2000 წლის 3 მარტი). სასამართლო ასევე იმეორებს, რომ მოთხოვნილი თანხების გონივრულობის შეფასებისას სასამართლო არ არის შეზღუდული ეროვნული პრაქტიკით და ქვეყნებში მოქმედი განაკვეთებით, თუმცა სასამართლომ ისინი შესაძლოა მოიშველიოს.

98. წინამდებარე საქმეში არსებული ინფორმაციისა და ზემოხსენებული კრიტერიუმების საფუძველზე სასამართლო გონივრულად თვლის, თანახმობის საფუძველზე მიანიჭოს განმცხადებელს 2500 ევრო.

გ. საურავი

99. სასამართლო შესაფერისად თვლის, რომ საურავი უნდა დაწესდეს ცენტრალური ევროპული ბანკის სესხისათვის განკუთვნილი მინიმალური პროცენტის სახით, რომელსაც უნდა დაემატოს სამპროცენტო ციფრი.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად

1. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მე-3 (d) პუნქტი.
2. ადგენს, რომ თვით დარღვევის დადგენის ფაქტი არის საკმარისი სამართლიანი დაკმაყოფილება განმცხადებლის მიერ განცდილ მორალურ ზიანთან დაკავშირებით.
3. ადგენს,
 - ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ იმ მომენტიდან 3 თვის ვადაში, როდესაც წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოო გახდება, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განმცხადებელს უნდა გადაუხადოს 2500 ევრო (ორი ათას ხუთასი ევრო), პლუს ნებისმიერი თანხა, რომლითაც ზემოხსენებული თანხა შეიძლება დაიბეგროს. თანხები გადაყვანილ უნდა იქნეს მოპასუხე სახელმწიფოს ვალუტაში, გადახდის დღისათვის არსებული კურსით;
 - ბ) რომ ზემოხსენებული 3-თვიანი ვადის გასვლის შემდგომ, გადახდის დღემდე, საურავი უნდა იქნეს გადახდილი იმ მოცულობით, რაც უტოლდება ევროპული ბანკის სესხისათვის განკუთვნილ მინიმალურ პროცენტს, რომელსაც უნდა დაემატოს სამპროცენტოანი ციფრი;
4. უარყოფს დანარჩენ პრეტენზიებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, და გაცხადებულია წერილობითი სახით 2006 წლის 28 თებერვალს სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

ს. დოლე
რეგისტრატორი

ჟ.პ. კოსტა
თავმჯდომარე